# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

124 კვირა, 7 ივნისი 1909 წ. № 124

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე იმავე დღეს საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება [illegible] დღე, კვირა-უქმეების გარდა [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ზოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

## მუშტაიდში

კვირას, 7 ივნისს

## ტფ. სახალხო უნივერსიტეტის

სასარგებლოდ გაიმართება

## დიდი სეირნობა:

დილით — საღამოთი

ბავშვებისთვის — დიდებისთვის

პროგრამა:

**საქანელა**—ოპერეტა „მხიარული ქვრივი"-დან.

**სეირნობა**—მატორიან „კალიასკებით".

**ორკესტრები**—მანდოლინისტებისა, ბალალაიკის დამკვრელთა, სამხედრო მუსიკა. საღამოს 8 საათიდან—სიმებიანი ორკესტრი რუმინელებისა, გრამოფონი.

**ბავშვების პროცესია** დროშებით.

ტომრებში სირბილი—საჩუქრათ დაურიგდებათ ცოცხალი ფრინველები. ბავშვების ცეკვა. მიზანში სროლა. რგოლების სროლა. ცხენით შექცევა ასპარეზზედ. ციგნის დედაკაცი—მკითხავი.

შუშხუნები. ჩარხი. სინემატოგრაფი არჩეულს სურათებით ბავშვებისთვის და დიდებისთვის ცალ-ცალკე. ყვავილების ურმები. ღია ბარათები ლექსებით. კონფეტტი. მფრინავი ბურთები.

აფთიაქი—კიოსკი 20 საუკუნისა. ბედნიერების ქვევრი. პტიშვო. ბუფეტი.

დასაწყისი დილით 10 საათზე, საღამოთი 4 საათზე.

შესასვლელი ფასი: დიდებისთვის—20 კაპ., ბავშვებისთვის—10 კაპ.

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარდა მსხიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^1/_2$—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე $10^1/_2$—$11^1/_2$ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ჩერნიავსკაია**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—45)

## დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—7)


## ტფილისი, 7 ივნისი

დაუსრულებელ ზღაპრად გადაიქცა ამიერ-კავკასიაში ერობის დაწესების საქმე. თათბირი თათბირს მისდევს, კომისია კომისიას, პროექტი პროექტს, საქმეს-კი ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ. ოთხი წელიწადია აგერ ამიერ-კავკასიის ერობა მორიგ საქმედ არის აღიარებული, დღეს-ხვალ განხორციელებას მოველით და ბოლოს ისევ უკან ვბრუნდებით მოსამზადებელ ხანაში: ისევ თათბირი, ისევ ცნობების შეგროვება, ახალი პროექტი. შემდეგ ისევ აღმოჩნდება რამე და ხელახლავ თავიდან დავიწყებთ საქმეს. [illegible]-კი არ უნდათ ერობის შემოღება, [illegible]-კი არ ეჩქარებათ, ახალ-ახალ ცნობები შეიძლება ყოველთვის დასჭირდეთ და ამრიგად საქმე ვერასოდეს ვერ გამოვა მოსამზადებელ ხანიდან. საკვირველია სწორედ: მთავრობა, რომელმაც ერთის დაკვრით, წარბშეუხრელად, რუსის ხალხის მრავალ საუკუნეთა სოციალური წესწყობილება შეარყია, მთავრობა, რომელმაც უშიშრად და უმზადებლად 9 ნოემბრის კანონი განახორციელა, ყოყმანსა და დიდ მზადებაშია, როცა ერობის შემოღებაზე მივიდა საქმე ერთ-ერთ განაპირა ქვეყანაში: აჩქარება არვარგა, უნდა ყოველმხრივ გამოირკვეს საქმე, ადგილობრივი პირობები შესწავლილ უნდა იქნასო და სხვა.

მართალია, ჩვენში რომ ნამდვილ სამაგალითო ადგილობრივ თვითმართველობის დაწესება სურდეთ, ისეთის თვითმმართველობისა, რომელიც ფართო დემოკრატიულ საფუძველზე იქნება აგებული და თან ადგილობრივ პირობებთანაც შეთანხმებული, მაშინ მზადებაც საჭიროა, შესწავლაც, დაფიქრებაც და ყველაფრის გაზომვა-გათვალისწინებაც. მაგრამ როცა ვიცით, რომ ბიუროკრატია ისეთს არაფერს მოგვცემს, რაც სხვაგან არ არის, როცა დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენც დამახინჯებული თვითმართველობა გვერგება, მაშინ ყველა ეს დაუსრულებელი მზადება, თათბირი და ცნობების შეგროვება უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს. საქმე სულ უბრალოა და საკითხი მეტად მარტივია: რუსეთში ამ ჟამად ორის ტიპის ერობაა: ერთი შიდა გუბერნიებში არსებობს, მეორე დასავლეთის ზოგიერთ გუბერნიაში. თუ ერობის შემოღება აუცილებელ საჭიროებად არის აღიარებული, თუ უნდათ აასრულონ სათათბიროს სურვილი, რომ ჩვენში ერობა დაუყონებლივ იქნას დაწესებული, მაშინ ბევრი მზადება და ფიქრი რა საჭიროა, აიღონ და ერთ-ერთი ტიპის ერობა განახორციელონ. სულერთია, უკეთეს რასმეს ჩვენთვის არ გამოიმეტებენ.

გარდა ამისა, ამ ჟამად მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ერობის გადაკეთება, ამისთვის განსაკუთრებული საბჭოც არსებობს ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა, ამისთვის სახ. სათათბიროშიაც არის განსაკუთრებული კომისია. როცა აქედან რამე გამოვა, როცა შემუშავდება ახალი დებულება ადგილობრივ თვითმართველობისა, მაშინ ჩვენშიაც შეიძლება ერობის გადაკეთება, მანამდის-კი ის მაინც დაარსდეს, რაც უკვე არსებობს რუსეთში. ჩვენ გვგონია, რომ საქმე არ გაჭიანურდებოდა და ადვილად გადასწყდებოდა ჩვენ მიერ აღნიშნულ გზით, მთავრობას რომ გულწრფელად და მართლა სურდეს ხსენებულ რეფორმის განხორციელება.

ერთად-ერთი მიზეზი, რომელსაც მართლა შეუძლიან ცოტათი დააბრკოლოს და გააჭიანუროს საქმე, ის არის, რომ ამიერ-კავკასიის გუბერნიები ადგილობრივ პირობებით, კულტურულ მდგომარეობის მხრით, ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან. ამას აღნიშნავს ნამესტნიკის ცირკულიარიც, რომელიც გუშინწინ იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. თუმცა ეს გარემოება არც ისე დიდმნიშვნელოვანია და დიდ დაბრკოლებად არც ეს ჩაითვლება, მაგრამ ვთქვათ, რომ ეს არის მიზეზი რეფორმის დაგვიანებისა. ამ შემთხვევაშიაც შეეძლო მთავრობას საქმის წინ წაწევა. სახელდობრ—ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სადაც თავად-აზნაურობა არსებობს და საკუთარი ორგანიზაცია აქვს წარმომადგენლობისა, სადაც სხვა პირობებიც იმნაირია, როგორც შიდა გუბერნიებში, ხომ მზად არიან 1902 წლის საერობო დებულების მისაღებად?! თვით ძველი რეჟიმის დროის ადგილობრივ ადმინისტრაციას მიაჩნდა შესაძლებლად ამ ორს გუბერნიაში ერობის შემოღება და განა ახლა არ შეიძლება ამის განხორციელება?..

ჩვენთვის ცხადია, რომ საქმე ადვილად გადაწყდებოდა, ცენტრალურ მთავრობასაც ისე საჭიროდ რომ მიაჩნდეს ერობის შემოღება ჩვენში, როგორც ნამესტნიკს. ხოლო ეხლა, როცა გავიგეთ, როგორ მიჰგებებიან პეტერბურგს ნამესტნიკის პროექტს, და როცა ვიხილეთ ახალი ცირკულიარი ახალ თათბირისა და ახლად ცნობების შეკრების შესახებ, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საქმე დიდის ხნით არის გადადებული: ძალიან კარგად ვიცით, რას ნიშნავს ბიუროკრატიის დაუმთავრებელი შესწავლა საქმისა და მზადება, რას ნიშნავენ ეს თათბირები, კომისიები და „საჭირო ცნობები": lasciate ogni speranza.


ბალი და რესტორანი

## „პალერმო"

დღეს, 7 ივნისს, დიდი **კონცერტი-მონსტრი** ქ-ნ ლანდორფის მონაწილეობით, რომელიც შეასრულებს „ტანეც ჟივოტას" და ფრანგულ მატჩიშს. კუპლეტებს წაიკითხავს ქ-ნი სკოპილსკაია.

დაწვრილებით აფიშებში. (1—288—1)

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—78)

გამოვიდა პირველი და მეორე ნომერი

ს. მეურნეო ჟურნალის

## „მოსავალი"-სა

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წელიწადში ჟურნალი ღირს 3 მ., მდგომარე წლის პირველ იანვრამდე—2 მ., ცალკე ნომერი ხელზე გასასყიდად—10 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ბაღში, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

რედაქციის ადრესი წერილებისათვის და დეპეშებისათვის: Тифлисъ, „Мосавали", Барятинская, 5. (3—3)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

როდესაც მთავრობამ დაინახა, რომ სახალხო მოძრაობა საკმაოდ ძლიერი იყო, დათმობის პოლიტიკას დაადგა. ძველებურის გზით სიარული შეუძლებელი გახდა და საფუძველი ჩაუყარა სახალხო წარმომადგენლობას. მაგრამ იგი კონსტიტუციის შემოღებას მაინც ვერ შეჰგუებოდა. არსებულ კონსტიტუციათა გადმონერგვა საკმაო თავისუფლებას მისცემდა ხალხს. ამიტომ ყოველი ღონე იღონეს, რომ რუსეთში არა ჩვეულებრივი, განსაკუთრებული „რუსული" წარმომადგენლობა დამყარებულიყო. დღევანდელი სახელმწიფო სათათბირო ამ მუშაობის ნაყოფია. პრინციპიალურად იგი ვითომ საკანონმდებლო ორგანოა, ფაქტიურად კი მხოლოდ სათათბირო დაწესებულად უნდა ჩაითვალოს. ამ ნიადაგზე დაუსრულებელი მიხლა-მოხლა იმართება სათათბიროს ოპოზიციასა და მემარჯვენეებს შორის. დეპუტატები სათათბიროს კომპეტენციის გამორკვევას ანდომებენ მთელ თავიანთ ძალ-ღონეს. ოპოზიციის წარმოდგენით, რუსეთში თვითმპყრობელობა აღარ არსებობს; სახალხო წარმომადგენლობის შემოღებით, მათის აზრით, მონარქია შეიზღუდა. მემარჯვენენი კი ყოველის შემთხვევით სარგებლობენ, რომ მონარქის პრეროგატივებზე ჩამოაგდონ ლაპარაკი და სათათბიროს მხოლოდ სათათბირო ხასიათი მისცენ. მთავრობას გამოურკვეველი პოზიცია უჭირავს ამ დავაში. იგი არც ერთხელ არა ცდილა ამ კამათში ჩარეულიყო და თავის განმარტებით სადავო საკითხები გამოერკვია. მთავრობა იმითიც კმაყოფილდება, რომ ლაპარაკს ამ საკითხე მემარჯვენეებს ანდობს, თვითონ კი ფაქტიურად ანხორციელებს მემარჯვენე დეპუტატების სურვილებს. ყველა ამან ფრიად ანორმალური და აუტანელი ატმოსფერა შეჰქმნა სახელმწიფო სათათბიროში.

მემარჯვენენი ოპოზიციას უკიჟინებენ, თქვენ მონარქის პრეროგატივებზე მიგაქვთ იერიშიო, ოპოზიცია კი მემარჯვენეებს ემუქრება, ძველი წეს-წყობილება გინდათ აღადგინოთ და ამიტომ ხალხის რისხვას უფრთხილდითო. არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს დავა, სანამ დღევანდელი სათათბირო არსებობს, გათავდება. მთავრობამ ვერც კონსტიტუციონურ წეს-წყობილების შემოღება გაბედა, ძველ პირობებში დარჩენაც ვერ მოახერხა, და ამიტომ ნაყოფი მისის რყევისა—ეხლანდელი სახელმწიფო-სათათბირო—ყოვლად უნიადაგო გამოდგა.

ამ ნიადაგზე ინციდენტებს შემდეგშიაც უნდა მოველოდეთ. ნაყოფიერი მოქმედება პარლამენტისა შეუძლებელია, თუ მისი სამოქმედო ასპარეზი და კომპეტენცია განსაზღვრული არ არის.

ამ ნიადაგზე დაიბადა, სხვათა შორის, დეპუტატის გეგეჭკორის ინციდენტიც.

როდესაც ლაპარაკი დაიწყო, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" არაკანონიერ მოქმედების შესახებ, დეპ. გეგეჭკორმა სთქვა: „კავშირი მხოლოდ მაშინ მოისპობა, როცა დაინგრევა ის წეს-წყობილება, რომელიც ასაზრდოებს დუბროვინს, მარკოვს და სხვებს. როცა დაინგრევა თვით-მპყრობელობა, როცა მოისპობა მონარქია". ამ სიტყვებმა წარმოთქმული ალიაქოთი გამოიწვია სახელმწიფო სათათბიროს წევრთა შორის. თავ-მჯდომარემ მოსთხოვა


— დაკლებული — თეთრი კვირა — ფასები —

## დაკლებული თეთრი კვირა ფასები

8, 9, 10, 11, 12 და 13 ივნისისთვის

## დანიშნულია თეთრი კვირა დაკლებულის ფასებით

## გ. მ. ჩილინგაროვების

წვრილმან სავაჭროს განყოფილებაში

სასახლის ქუჩა.

**იყიდება მრავლად** ქალის ბლუზები, ტანისამოსი, მანტო, მატინე, იუბკები, ხელთათმანები, ვუალები და კოლგები, შარფები, ჟაბო, ცხვირსახოცები, ჩულქები, ნაკერი, სარტყლები, საყელოები, კუპონები ბლუზებისა და ათასი სხვა რამ. **თეთრი საქონელი**

## აუარებელია ქალის თეთრეული

## ფასები შეუვაჭრებლად.

მაღაზია დაიკეტება ნაშუადღევის 3-დან 4 საათამდე.

(1—გ.ყ.—1)

— დაკლებული — თეთრი კვირა — ფასები —

## ФЕЛЬДШЕРСКАЯ ШКОЛА

Д-ра Г. Л. РОГИНСКАГО

въ Москвѣ, Маросейка, Косма-Даміанскій пер., д. Конкина. Телефонъ 210-62.

Открытъ пріемъ прошеній на $190^9/_{10}$ учебн. годъ. Условія высылаются и выдаются.

(Метцль и К.—166766) (4—მეტ.—3)

**ქაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6. 81)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

სამშაბათს, 9 ივნისს, საღამოს 8 საათზე ტფ. თავად-აზნაურობის სადეპუტატო საკრებულოს სადგომში მოხდება **საზოგადო კრება**

## „ახალი კლუბის"

წევრებისა. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. ახალ წევრთა მიღება.
2. კლუბის ბინის შესახებ და
3. არჩევნები ახალ საბჭოს წევრებისა, მათის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

თანახმად წესდების 29 მუხლისა, კრება ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3—6.—2)

გამოვიდა **„ნაკადული"** თიბათვისა, N 11, მცირეწლოვანთათვის. შინაარსი: „მალვას დილა", ი. ევდოშვილისა, «ბერდიზა», ვაჟაფშაველასი, „ყეყეჩი", შ—სა, «მზიხვენ», ყ. კ—ისა, «ვირის თავგადასავალი», თარგმანი ან. ამილახვრისა, ამოცანა რებუსი და ახსნა.

ძოზრდილთათვის, N 6, „ჩიტები", დუტუ-მეგრელისა, «ვით თვით ბუნება, ისიც იმ ძალით ნელა ცხრებოდა», ცქვიტისა, «ობოლი სოსია», გიორგისა, „მთიბავის სიმღერა", ევდოშვილისა, «შვილი ვარსკვლავისა», ოსკარ უაილდის ზღაპარი (თარგმანი) ივანეკისა, «ურია, მაჩტეტოსა», თარგ. კ. ბაქრაძისა, «ეგნატე ნინოშვილი», ლ. ელიავასი, «სინათლე და მისი მნიშვნელობა», ი. მღებრიშვილისა, მითოლოგია ა. მიქაბერიძისა, ციფრების ფოკუსი, არითმეტიკული ამოცანა და რებუსი.

**ექიმი** ა. ნ. რიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამოღონის ქუჩა, სახლი N 14 დემიდოვისა. (0—586—163)

## ეზოში

დანიშნულია იაფობა ათი დღით

ჩულქები, წინდები ქალისა და ბავშვისა.

გიპიური პალტოებისთვის. მოსართავი [illegible].

ლენტები, კრუჟევა, ხის ღილები.

## მაღაზია ჭიშკარიანისა და ზაზარიანცისა.

სასახლის ქუჩა, № 3. (2—286—1)

გეგეჭკორს, სიტყვა უკან წაიღეო. თუმცა გეგეჭკორმა განმარტა თავისი სიტყვები და აუხსნა თავმჯდომარეს, რომ მას ეხლანდელ მონარქის პიროვნება სრულიადაც არა ჰქონია მხედველობაში, მაგრამ მემარჯვენე დეპუტატები მაინც არ დაკმაყოფილდნენ.

ეხლა შავ-რაზმულ პრესაში ამ ინციდენტის გამო მთელი განგაშია ატეხილი. "რეაქციონერ მენშიკოვს მოსვენება დაეკარგა და გაშმაგებული იერიშები მიაქვს თავმჯდომარესა და მთლად სათათბიროზე—გეგეჭკორი სამუდამოდ განდევნეთ სათათბიროდანაო. საინტერესოა, რა ბრალსა სდებენ შავ-რაზმელები გეგეჭკორს. მენშიკოვი და მასთან ერთად ტფილისელი „გოლოს კავკაზა“ ამტკიცებენ,—ის ადამიანი, რომელიც მონარქიის წინააღმდეგია, სათათბიროში ვერ დარჩებაო. მაგრამ არსებობს მონარქია თვით-მპყრობელობითი და კონსტიტუციონური. სათათბიროს მოწვევით თვითმპყრობელობითი მონარქია აუცილებლად შეიზღუდა. ვინც ამისი წინააღმდეგია, სათათბიროს ბუნებრივ ანტაგონისტად ხდება. თუ ამნაირის თვალ-საზრისით შევხედავთ გეგეჭკორის ინციდენტს, დამნაშავის სკამზე მემარჯვენენი უნდა მოექცნენ.

აი ასეთი ანორმალური ატმოსფერაა რუსეთის პარლამენტში, თუ შეიძლება სათათბიროს პარლამენტი დაერქვას. სხვა დროს და სხვა ადგილას გეგეჭკორის სიტყვა არავითარ ინციდენტს არ გამოიწვევდა. რუსეთში კი, სადაც სახალხო წარმომადგენლობა ფხვიერ ნიადაგზეა აშენებული, სადაც ჯერაც გამორკვეული არ არის, არსებობს კონსტიტუცია თუ არა, ყოველი სიტყვა ოპოზიციის ორატორებისა, თუ იგი დიპლომატიურის კილოთი არ არის ნათქვამი, დაუსრულებელ ალიაქოთს იწვევს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
6 ივნისი

## ოსმალეთი

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს კანკიდან ატყობინებენ: გამოაქვეყნეს ოფიციალური განცხადება. განცხადებაში მცხოვრებთ ურჩევენ დაიცვან მშვიდობიანობა. ამას გარდა განცხადებაში ნათქვამია, მოუცადეთ კრიტოსის მფარველ სახელმწიფოებს, რომელნიც მოაგვარებენ კრიტოსის საკითხსაო.

## სპარსეთი

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს 4 ივნისის თარიღით თეირანიდან ატყობინებენ. ისფაჰანიდან სერდარ ასსადმა დეპეშა გამოგზავნა. ასსადი იუწყება, განზრახული მაქვს 800 კაცით თეირანისკენ გამოვილაშქრო და მოვითხოვ კონსტიტუციის და ლიბერალურ სამინისტროს აღდგენას.

## საზღვარ-გარედ.

**რეიდი შტანდარტი**. 3 ივნისს შტანდარტის რეიდზე მოვიდა რუსის იმპერატორის იახტა „პოლიარნაია ზვეზდა“. ამ იახტით მოვიდნენ მინისტრ-პრეზიდენტი სტოლიპინი, გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი, საზღვაო მინისტრი ვოევოდსკი, სასახლის კომენდანტი დედიულინი, ობერ-ცერემონმეისტერი გრაფი გენდრიკოვი და ხელმწიფის ამალის სხვა წევრნი. 11 საათზე სტოლიპინი და სხვა მინისტრები „შტანდარტზე“ წავიდნენ ხელმწიფისთვის მოხსენების წარსადგენად. 4 ივნისს, დილის 10 საათზე, მოხდა რუსისა და გერმანიის ხელმწიფეების შეხვედრა. გერმანიის იმპერატორს თან ახლდა ესკადრა. რუსისა და გერმანიის გემებმა ხელმწიფეების პატივსაცემლად ზარბაზნები დასცალეს, მეზღვაურებმა „ურა“ დასძახეს. გერმანიის იმპერატორი რუსის ადმირალის ტანისამოსში იყო ..ოუსლის ლენტით. გერმანიის იმპერატორის იახტა „ჰოჰენცოლერნი“, „შტანდარტისა“ და „პოლ. ზვეზდას“ შუაში ჩადგა. 10 საათზე გაისმა გერმანიის მარში. რუსის იმპერატორი გერმანიის საზღვაო ფორმაში ორთქლის ნავით „ჰოჰენცოლერნ“-ზე წავიდა. თან ახლდა მცირე ამალა. კატერს გერმანელები რუსულის ჰიმნითა და „ურათი“ მიეგებნენ. მეფეების შეხვედრა მეგობრული იყო,—სამჯერ გადაჰკოცნეს ერთმანეთს. დასცალეს ზარბაზნები. რუსეთის იმპერატორმა 30 წუთს დაჰყო იმპერატ. ვილჰელმთან. 11 საათზე და 60 წუთზე გერმანიის იმპერატორი ეწვია „შტანდარტ“-ზე რუსის იმპერატორს. მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული შვილებითურთ. გერმანიის იმპერატორმა გადაჰკოცნა მათი უდიდებულესობანი. გაისმა „ურა“ და ზარბაზნების ხმა. ხელმწიფეებმა ერთმანეთს ამალა წარუდგინეს. გერმანიის იმპერატორმა „შტანდარტ“-ზე 40 წუთს დაჰყო. წასვლის დროს კვლავ გაისმა „ურა“ და ზარბაზნების ხმა.

**პარიზი**. რუსისა და გერმანიის ხელმწიფეების შეხვედრაზე გაზეთები ჯერ ცოტასა სწერენ. ზოგიერთის აზრით, ეს შეხვედრა არ შესცვლის რუსის საგარეო პოლიტიკას.

**ლონდონი**. ხელმწიფეების შეხვედრის გამო გაზეთი „სტანდარტი“ სწერს: იმპერატორ ვილჰელმს აზრადა აქვს, დააშოროს რუსეთი იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ომის დროს, როგორც მოსალოდნელია, რუსეთს მხარს დაუჭერენო. „დეილი ნიუსი“ სწერს: შეხვედრის ინიციატივა ალბად იმპერატორ ვილჰელმს ეკუთვნის. მას უნდა შეამსუბუქოს ის შთაბეჭდილება, რომელიც გერმანიის მოქმედებამ მოახდინა 1909 წლის მარტში ავსტრო-სერბიის საქმეში.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს სიტყვით, 13 ივნისს ინგლისის მეფე ბუკინჰემის სასახლეში მიიღებს რუსის სახელმწიფო სათათბიროს წევრებს.

## რუსეთი

**პეტერბურგი**. ნაშუადღევის 1 საათზე აფრინდა ჰაეროპლანი „გენერალ-ლეიტენანტი ვანოვსკი“. ორი წუთის შემდეგ ჰაეროპლანი ჩამოვარდა. მოკვდა ინჟინერი პალაცინი, დაშავდა მისი ცოლი, დანარჩენი ორი კაცი გადარჩა.

გამოირკვა, რომ ჰაეროპლანი „გენერალ-ლეიტენანტი ვანოვსკი“ ჰაერშივე გაფუჭებულა. მიზეზი არ იციან. დაშავდა აგრეთვე ჟურნალ „ვოზდუხოპლავატელის“ რედაქტორი კაპიტანი გერმანი. ამრიგად, უვნებელი გადარჩა მარტო ერთი კაცი.

**სევასტოპოლი**. შავი ზღვის ფლოტის უფროსი გაემგზავრა ტუაპსესკენ, სადაც სამხედრო-სატრანსპორტო გემი „ინგული“ დაიღუპა.

**პეტერბურგი**. შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით 1910 წლის თებერვალში ან მარტში პეტერბურგში მოხდება მხატვართა კრება.

დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 34, გარდაიცვალა 10 კაცი. ამავე დროს პეტერბურგის გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 3 კაცი.

**სარატოვი**. სადგურ კოლოგრივოვკას მახლობლად ერთმანეთს დაეჯახნენ საქონლის მატარებლები. დაიმტვრა 8 ვაგონი, მოკვდა ობერ-კონდუქტორი. მიზეზი—მაშინისტთა, რომელსაც დასძინებოდა.

**ლიბავა**. ღამე სადგურ ვაინოდენზე მოკლეს პოლიციელი.

**პეტერბურგი**. სენატმა განიხილა საუფლისწულო მამულების მმართველობის უფროსად ნამყოფის ტოლსტოის საქმე, რომელიც რევიზიის შემდეგ სამართალში მისცეს. სენატმა დაადგინა, გამოიძიოს ეს საქმე.

**მოსკოვი**. დილის 9 საათსა და 40 წუთზე ჩამოვიდა სომეხთა კათალიკოსი მათეოს იზმირლიანი. კათალიკოსს სადგურზე დაუხვდნენ ადგილობრივი სამღვდელოება და სომეხთა კოლონიის წარმომადგენელნი. დილის 10 საათზე კათალიკოსი სომეხთა ეკლესიაში წავიდა. ეკლესიის შესავალში კათალიკოსს მიეგებნენ სამღვდელო და სომეხთა კოლონიის პატივცემული პირნი. პარაკლისის შემდეგ მღვდელმა ნაზარიანცმა კათალიკოსს სიტყვით მიმართა. ამის შემდეგ კათალიკოსმა წარმოსთქვა სიტყვა. ეკლესიიდან კათოლიკოსი ჯამგაროვის სახლში წავიდა.

**იაროსლავი**. იაროსლავის გუბერნიის გლეხთა დეპუტატის კოჟევნიკოვის მაგიერ, რომელიც გარდაიცვალა, დეპუტატად სახელმწიფო სათათბიროში გაიგზავნება მიშკინის მაზრის გლეხი ბორლიშევი, 38 წლისა, მართლ-მადიდებელი, პირველ-დაწყებითი სკოლა კურს დამთავრებული. ბორლიშევს არჩევნების დროს კოჟევნიკოვის შემდეგ ყველაზე მეტი თეთრი კენჭი ამოუვიდა.

**კრონშტადტი**. ორანიენბაუმის მახლობლად ხოლერით ავად გახდა ორი მეთევზე.

**პეტერბურგი**. 5 ივნისს ინგლისში წავიდნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ჯგუფი.

**კურსკი**. სამხედრო ოლქის სასამართლომ დაიწყო გარჩევა სოციალისტ-რევოლიუციონერთა შჩიგროვის კავშირის საქმისა. სამართალში მიცემულია 91 კაცი, მოწმედ დაბარებულია 300 კაცი. სამართალში სხვათა შორის, მიცემულნი არიან სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი პიანიხი და მერკულოვი, საქმის გარჩევა ერთ თვეს გასტანს.

**რომნი**. ოლქის სასამართლომ დაიწყო გარჩევა რომნაში 1905 წელს მომხდარ აწიოკების საქმისა. სამართალში მიცემულია 48 კაცი, მოწმად დაბარებულია 100 კაცი.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **დაეხმარეთ სახალხო უნივერსიტეტს!** დღეს მუშტაიდის ბაღში დიდი სეირნობაა დანიშნული, რომლის შემოსავლითაც უნდა გაძლიერდეს ტფ. სახალხო უნივერსიტეტის ფონდი. მეტია ლაპარაკი ამ დაწესებულების კულტურულ მნიშვნელობაზე. მაგრამ ამ ფრიად კეთილ დაწესებულებას წინ გადაეღობა ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი. ამ მიზეზებისა და უსახსრობისა გამო ვერ აკეთებს ყველა იმას, რის გაკეთებაც შეუძლიან. საქმის მოთავეებს ვერ მოჰყავთ სისრულეში თავიანთ განზრახვანი იმ მთავარ მიზეზისა გამო, რომელსაც ეწოდება ნივთიერი სივიწროვე. თუ ტფილისის მცხოვრებთათვის სახალხო განათლების საქმე შეადგენს რასმეს და პროგრესიული ზრდა სახალხო უნივერსიტეტისა სასურველ საქმედ მიაჩნიათ, დღეს არვინ დაიშურებს მცირე წვლილს, დაესწრება ამ სეირნობას და ამით შემწეობას აღმოუჩენს სახალხო უნივერსიტეტს. გარდა ამ სიმპატიურ დანიშნულებისა, თვით დღევანდელი სეირნობაც თავის თავათ საინტერესო და მრავალ ფეროვანი უნდა იყოს, როგორც ამას აფიშა მოწმობს.

✦ **ქალაქის თავი ვ. ჩერქეზიშვილი**. ტფ. ქალაქის თავი ისევ ძლიერ არის ავად. 5 ივნისს დილით სიცხემ უკლო, შუადღისას 39,2 გრადუსამდე, ხოლო საღამოთი 36,3 გრადუსამდე დაეცა. გუშინ სიცხე ისევ 40 გრადუსამდე ავიდა. ავადმყოფი ძალზე დასუსტებულია.

✦ **სეირნობა 14 ივნისს**. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ტფ. გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს ტფ. საბალისნო სას წავლებლის პედაგოგიურ საბჭოს 14 ივნისს გამართოს მუშტაიდში სეირნობა სკოლის სასარგებლოდ.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო**. ხვალ, 8 ივნისს, საღამოსთვის დანიშნულია სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი, რომელიც განიხილავს საკითხს სომეხთა კათალიკოსის მათეოს მეორეს მიღების შესახებ. საბჭო განიხილავს აგრეთვე საკითხს ავადმყოფ ვ. ნ. ჩერქეზიშვილის დახმარების შესახებ.

✦ **წარმოდგენები თათრულ ენაზე**. არტისტი არაბლინსკი ამ ქამად ტფილისშია და თავის დასით გამართავს ორ თათრულ წარმოდგენას: 9 ივნის საარტისტო საზოგადოების თეატრში წარმოდგენილი იქნება „ებრაელები“, დრამა ჩირიკოვისა, ხოლო 12 ივნისს სახაზინო თეატრში—„რევოლიუცია სპარსეთში“, პიესა ნარიმანოვისა.

✦ **გადაყვანა.** [illegible] ნო პალატის განყოფილების [illegible] მარკოვი გადაყვანილ იქმნა ხარკოვში საგლეხო ბანკის წევრად.

✦ **სიმინდი და შავი ქვა**. ფოთის ნავთსადგურიდან წარსულ მაისის განმავლობაში გაუტანიათ სიმინდი 225,950 ფუთი და შავი ქვა 2,403,416 ფუთი.

✦ **სწავლა-დამთავრებულნი**. წელს ქუთაისის 8-კლასიან საეპარქიო სასწავლებელი დაამთავრა 24 ქალმა. აი მათი გვარები: აბრამიშვილი ვერა, აბრამიშვილი ელენე, ბერულავა, ვაშაკიძე, ვეფხვაძე, გაგუა, გეგელია, დეისაძე, ჯუღელი ნინო, ჯუღელი ქსენია, დევდარიანი, კანდელაკი, კუპაიძე, კახეთელიძე, მატარაძე, ფხაკაძე, სანიკიძე, სულაქველიძე, სურგულაძე, ტყემალაძე, ჩიხლაძე რაისა, ჩიხლაძე მარიამი, შარაბიძე და შავგულიძე.

✦ **კავკავის ქართველობა**. კავკავის სკოლასთან ადგილობრივ ქალთა წრეს დაუარსებია პროფესიონალური სკოლა. ამ სკოლაში შედიან ქართულ სკოლაში სწავლადამთავრებულნი. სკოლაში წელს 17 მოწაფე მეცადინეობდა თურმე, სწავლა კარგად ყოფილა დაყენებული და ხელმძღვანელთ იმედი აქვთ, რომ საქმეს გააფართოვებენ. წერა-კითხვის საზ. გამგეობაში მიღებულ ცნობებით, კავკავის ქართველი ინტელიგენცია ბევრს მეცადინეობს კულტურულს ნიადაგზე. ქართული სკოლა, ეკლესია, თეატრი, პროფესიონალური სკოლა, ხეხილის ბაღი, სადაც კავკავის ქართულ სკოლის მოწაფენი მებაღეობასა სწავლობენ —ყოველივე ეს დიდი შრომის შედეგია.

✦ **სამსახურიდან გადადგომა**. ტფ. ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ლინდენი სამსახურიდან გადადგა.

✦ **მალოროსიული დასი**. ერთი კვირა იქნება, ტფილისში, ქართულ თეატრის საზაფხულო განყოფილებაში წარმოდგენებს მართავს მალოროსიული დასი. დასი მშვენიერია. არიან კარგი არტისტები, მშვენიერი ხოროები ქალებისა

# ფელეტონი

## ბრწყინვალე სინათლისკენ

დრამატიული ეტიუდი 1 მოქმედებად
**მ. მანუელიანისა.**
(სომხურიდან თარგმნილი).

საფლავები. ხშირი სიბნელე. ძალიან შორს სინათლე ბრწყინავს, ქარი ჰქრის. ძლიერ მგლების ღმუილი. შორს სიღრმიდან საფლავის ყავა მიდის.

**ერთი** (ბნელაში რყევით წინ მოდის, ეცემა, დგება. ზოგჯერ ედება საფლავებს, საფლავის ქვებს). ჰეი, ჰეი! სადა ხართ?.. (სიჩუმე). მე სადა ვარ? როგორა ბნელა, არა სჩანს სინათლე, სინათლის ერთი სხივი... ვის დაუდვია ეს ჯვარი? საფლავი, საფლავები... ეი, ვინა ხართ?.. მიშველეთ... მიშველეთ!.. (შორიდან მოისმის ხმა).

**მოხუცი**. აქეთ, აქეთ! (ქარი ჰქრის).

**გამოხმობილი**. აქეთ! აქეთ!.. (შორს მოსჩანს ორი ერთმანეთის გვერდით ანთებული ცეცხლი, რომლებიც ნელ-ნელა ახლოვდებიან).

**ერთი** (შეშინებული). მგელი... მგლის თვალები... (იმედ გადაწყვეტილი). მიშველეთ!.. ცეცხლები ახლოვდებიან. (სცდილობს გაქცევას, რამდენსამე ნაბიჯს გადასდგამს და დაეცემა. ცეცხლები უახლოვდებიან და თანდათანად ჩერდებიან. მოხუცია, თეთრი ბერანგი ჰფარავს იმის გამხდარ ტანს. თავქვეით თეთრი ბერანგი ქარისაგან ფრიალებს. ხელში უჭირავს ადამიანის თავის ქალა, რომლის თვალების ჩაღრმავებულებში სინათლე ანთია).

**მოხუცი**. ვინა ხარ?

**ერთი** (გახუმებული თვალებს ხუჭავს).

**მოხუცი**. ვინა ხარ, სად მიხვალ?

**ერთი** (შიშისაგან თვალებს ახელს, უნდა სთქვას რამე, მაგრამ ვერ ახერხებს).

**მოხუცი**. სად მიხვალ?

**ერთი** (გახუმებული თითით უჩვენებს სინათლეს, რომელიც შორს ბრწყინავს).

**მოხუცი**. რად გინდა ეგ სინათლე?

**ერთი**. უყურე, რა სიბნელეა! ვდნები უსინათლოდ, სიბნელე მახრჩობს... ჩვენ ბევრნი ვიყავით, ისინი ჩემზე წინ წავიდნენ, მე მარტო დავრჩი... ისინი ამბობდნენ, იქ ბედნიერებაო... ნუ თუ ვერა ნახე ისინი?

**მოხუცი**. ვნახე.

**ერთი**. რომელ მხარეს მიდიოდნენ?

**მოხუცი**. პირდაპირ.

**ერთი**. შენ ვინა ხარ?

**მოხუცი**. მეე? არ ვიცი...

**ერთი**. რა საოცარი ფარანია!

**მოხუცი**. ეს თავის ქალაა.

**ერთი**. ეგ გინათებს გზას?

**მოხუცი**. დიახ, თავის ქალა... ამასაც უნდოდა წასვლა, მისვლა იმ სინათლესთან.

**ერთი**. მივიდა?

**მოხუცი**. არა! ბევრნი წავიდნენ, მაგრამ ჯერ არავინ არ მისულა... იმას ბევრი შეუცდენია, თავისკენ მიუზიდნია, ბევრი გადუყლაპავს. ის ისეთი მომხიბლავი არ არის, როგორიც შორიდან მოსჩანს... მაცდური სინათლეა, რომელსაც რამდენიც უახლოვდები, იმდენი შორს მირბის.

**ერთი**. მაგრამ მე უნდა მივიდე იმასთან. შენ გამიყვანე ამ საფლავებიდან, გზა გამინათე და მერე მივალ. ამ საფლავებში მეშინიან. ჩქარა მოვშორდეთ აქაურობას, ასე მგონია, საფლავები გაიღება, მკვდრები ამოვლენ საფლავებიდან და თავიანთ გამხმარ თითებით დამახრჩობენ... ოჰ! ჩქარა, ჩქარა გავიდეთ აქედან... მივალ!

**მოხუცი**. (სიცილით) სულელი!

**ერთი**. ეს რა არის ჩვენ ფეხთ ქვეშ?

**მოხუცი**. ჩონჩხები.

**ერთი**. ჩონჩხები?.. ჩქარა გავშორდებით ამ ჩონჩხებს?

**მოხუცი**. მთელი გზა დაფენილია ადამიანის ჩონჩხებით. გვამებსა და ჩონჩხებზე უნდა იარო... მთელი გზა ასეთია...

**ერთი**. მთელი გზა?

**მოხუცი**. დიახ, მაგ სინათლის მსხვერპლნი არიან, ძველი მსხვერპლნი.

**ერთი**. ძველის?.. ჩემი ამხანაგები სადღა არიან, გეხვეწები, იმათთან მიმიყვანე, სად არიან ისინი?

**მოხუცი**. (სინათლისკენ).

**ერთი**. სინათლესთან?

**მოხუცი**. არა, მიდიან, მაგრამ ჯერ არ მისულან... ისინიც დაეცემიან სინათლის გზაზე, როგორც ბევრნი სხვანი: ისინი გაგიჟებულან, სულელები არიან... დაბრუნდი, ვიდრე გვიან არ არის... წადი, იქ იცხოვრე, იქ საიდანაც მოდიხარ.

**ერთი**. ჩემი ამხანაგები წავიდნენ, ამბობ?

**მოხუცი**. დიახ, შენ კი დაბრუნდი... შენ ჯერ ჰაბუკი ხარ... ჯეელი. მითხარ, გიყვარს ვინმე?

**ერთი**. დიახ.

**მოხუცი**. წადი, იმასთან წადი!

**ერთი**. იმასთან რა პირით წავიდე, დამცინებს...

**მოხუცი**. უთხარ, არაფერია თქო, მოგონილი რამ არის-თქო. მომხიბლავი სინათლე არ არის, იმასთან მისვლა არ შეიძლება თქო.

**ერთი**. არა, უკან წასვლა არ შემიძლიან... ჩემი ამხანაგები წავიდნენ: წამიყვანე იმათთან და ერთად მოვალთ სინათლესთან... მივალთ... მე მრწამს... სიბნელე მახრჩობს!, უსინათლოთ სიცოცხლე არ არის .. წამიყვანე იმათთან!

**მოხუცი**. ხელი მომე.

**ერთი**. (ყოყმანობს)

**მოხუცი**. (გამხმარ თითებით ძალად უჭერს ხელს) წავიდეთ!

**ერთი**. (შეშინებული) ეს რა ხმებია?

**მოხუცი**. ქარია... ღმუის... შენი ძვლებიც მალე ეგრე გაიფანტება და შენ ძვლებთანაც ითამაშებს ბოროტი ქარი, მახსარად აგიგდებს, დაგცინებს... უკანასკნელად გეკითხები, გინდა უკან წასვლა?..

მოიგონე ის, ვინც გიყვარს, წადი, ბედნიერად იცხოვრე, ის სულელები კი დაე წავიდნენ, შენ უკან დაბრუნდი.

**ერთი**. მოხუცო, შენ მცდი... არა! არა!

**მოხუცი**. მაშ, წავიდეთ, არ გეშინიან მგელ კაცებისა?

**ერთი**. ძალიან!

**მოხუცი**. მაშ როგორ გაჰბედე აქ მარტო მოსვლა. აქ ისინი უთვალავნი არიან.

**ერთი**. მე მარტო არ ვიყავ, ბევრნი ვიყავით, დავკარგეთ ერთმანეთი. უკუნეთ სიბნელეში მოვდიოდით და ერთმანეთი დავკარგეთ, ერთმანეთს ვერა ვხედავდით: პირველში ხმით მივდევდით ერთმანეთს და როდესაც სიბნელე განუპვრეტელი გახდა, ერთმანეთს ხელი დაუჭირეთ და ისე მივდიოდით...

**მოხუცი**. მაშ მარტო რად დარჩი?

**ერთი**. ჯაჭვი გაგვიწყდა, მე ერთ ქვას მაგრა მივეკარი, მგონი საფლავის ქვა იყო. გული წამივიდა. როდესაც გონს მოველ, მარტო ვიყავ, სრულიად მარტო: ხმა მივე, ვეძახე, პასუხი არავინ გამცა. (სიჩუმე) შენ ვილა ხარ? აქ რას აკეთებ? არ გეშინიან?

**მოხუცი**. გზას უჩვენებ... მე არ მეშინიან. მგელ-კაცები ჩემი მეგობრები არიან, ისინი ხელს არ მახლებენ.

**ერთი**. ჰო, მაშ წინ გამიძეღ: როდესაც მიმიყვან, ფეხებზე გაკოცებ. არ დავიღლები, წამიყვანე... მე ჯერ ახალგაზდა ვარ, დიდი ღონეა ჩემში... შემიძლიან მთელი დღეები დაუსვენებლივ ვიარო... ძალზე მწყურიან, მაგრამ წყურვილს მოვიკლავ... ავიტან ყოველ გაჭირვებას, მხოლოდ ჩქარა, ამომიყვანე ამ საფლავებიდან და მითხარ, როგორ წავიდე, რომ ჩქარა მივიდე.

**მოხუცი**. ხა!.. ხა!.. ხა!.. როგორა სჩქარობ!

**გამოხმობილი**. ხა!.. ხა!.. სჩქარობ!

**ერთი**. ვიხრჩობი უსინათლოთ.

**მოხუცი**. მაშ, წავიდეთ... ხელი მომეცი.

**ერთი**. კურთხეულ იყოს შენი სახელი... წამიყვანე სინათლისკენ. (მიდიან. სიბნელე ჰქრება. მოსჩანს: კლდეები, ტიტველი ბუნება, არც ერთი მცენარე არ არის. კლდეები უფსკრულს ჩაჰყურებენ. სინათლე შორს ბრწყინავს).

**ერთი**. დავიღალე. (დაეცემა).

**მოხუცი**. (აყენებს).

**ერთი**. ჯერ კიდევ დიდხანს უნდა ვიაროთ?

**მოხუცი**. არა!

**ერთი**. ახ, ჩქარა, ჩქარა გავიდეთ აქედან!.. (სიჩუმე. კლდიდან კლდეზე ხტებიან).

**მოხუცი**. მოიცა, მივედით.

**ერთი**. (დაღლილობისაგან ეცემა).

**მოხუცი**. უყურე, მივედით.

**ერთი**. (თავს აიწევს). წინანდელზე უფრო შორს არის...

**მოხუცი**. ადექ!

**ერთი**. (შიშისაგან უგერის). სად მომიყვანე?

**მოხუცი**. სინათლის მხარეს...

**ერთი**. ეს უფსკრულია!

**მოხუცი**. უნდა გავიაროთ.

**ერთი**. ეს რა ხმებია? საიდან მოდის ეს ხმები?

**მოხუცი**. იქიდან.

**ერთი**. უფსკრულიდან?

**მოხუცი**. უფსკრულიდან... უყურე!

**ერთი**. (შეშინებული უკან დაიწევს).

**მოხუცი**. (იმავე კილოთი) უყურე, რა ამბავია იქ?

**ერთი**. გვამები... ერთმანეთზე დაყრილი გვამები, ჩემი ამხანაგები... ოჰ! ისინი ჯერ კიდევ ინძრევიან.

**მოხუცი**. დიახ, გვამები იმათი, რომელნიც დაეცნენ სინათლისკენ მიმავალ გზაზე.

**ერთი**. სად მომიყვანე, შე წყეულო მოხუცო!.. განა სხვა გზა არ იყო?!

**მოხუცი**. სხვა არ არის: ერთად ერთი გზაა...

**ერთი**. საშინია... ისინი ინძრევიან... ეი, გესმისთ? (უფსკრულიდან მოისმის კვნესა) გესმის: საზარელია, მოხუცო! დაიხსენ, დაიხსენ ისინი!

**მოხუცი**. შეუძლებელია.

**ერთი**. დაიხსენ, მე გთხოვ, გიბრძანებ!

**მოხუცი**. ხა!.. ხა!.. ხა!..

**გამოხმობილი**. ხა!.. ხა!.. ხა!..

**ერთი**. ეშმაკი, ეშმაკი!..

**მოხუცი**. ეს უფსკრული უნდა გაივსოს, უნდა გაივსოს. გაივსება და მხოლოდ მაშინ მებრძოლთა და დაცემულთა გვამებზე ახლები გაივლიან. უნდა გაივსოს, საუკუნოებით საჭირო... საუკუნოები გადის, მაგრამ არ ივსება... უნდა გაივსოს, რომ ახლებმა გაიარონ უფსკრული და სინათლესთან მივიდნენ. გესმის,

და კაცებისა, კარგი მოცეკვავენი. ყველა პიესას მწყობრად ადგენენ. ეჭვი არ არის, ამ ზაფხულს დასი ბევრ ხალხს მიიზიდავს. ბაღი თეატრთან მშვენივრად მოუწყვიათ.

✦ „ნაკადული“. რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ ორი № მე-6 (მოზრდილთათვის) და მე-11 მცირე-წლოვანთათვის.

✦ დღეს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში გ. გ. შარვაძე წაიკითხავს ლექციას პოლიტიკურ ეკონომიიდან. დასაწყისი 11 ნახევ. საათ.

✦ ყაზანის უნივერსიტეტში 24 მაისს ეგზამენს იჭერდა 40 საზღვარ-გარეთელი ექიმი, მათ შორის ექიმი კაკიტელაშვილი, რომელმაც ბაზელში ქების ფურცლით დაამთავრა კურსი.

✦ 6 ივნისს, დილით 4 ნახ საათზე, პოგრანიჩნი ქუჩაზე, ზურაბოვის ბოსტანში ნახეს ხეზე ჩამოხრჩვალი ტფ. მოქალაქე ვლადიმერ აფანასიევი, 42 წლისა. აფანასიევი ლოთი იყო.

✦ ხუთ ივნისს სამი უცნობი მისულა ალექსანდროვის ქუჩაზე მცხოვრებ პოდპოლკოვნიკ ისაკ ზენილოვის სახლში. ორი დარაჯად დამდგარა, მესამეს სდომებია სამზარეულოს კარების გაღება. შეუმჩნევია მსახურ ჯარისკაცს მაზკას და მეორე კარებიდან აივანზე გამოვარდნილა, მაგრამ ხელი უტაცნიათ უცნობებს და მოუნდომებიათ აივნიდან ქუჩაში გადაგდება. მაზკა დასძრომიათ, მაგრამ მისთვის ტყვია მიუყოლებიათ და დაუჭრიათ. შემდეგ უცნობნი გადამალულან. ეჭვით დააპატიმრეს მეეზოვე ვასილ კოზულაძე და სულოვან მოდრეკილაძე.

✦ ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დააჯარიმეს ოჰანეზ კოლტუხჩევი 3 მან. და მარიამ ხოდზკო 3 მან.

✦ 5 ივნისს პოლიციის მე-5 ნაწილში დააპატიმრეს ელენე სვეტლოვისა, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გაძევების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა.

## ქუთაისის სათავად-აზნ. ბანკის კრება

**31 მაისი, 1 და 2 ივნისი.**

წლევანდელი კრება ადრინდელს არა ჰგავს; წელს ოპოზიციას ფეხი გამაგრებული აქვს: იგი ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა, სჩხრეკდა ბანკის საქმეებს სარევიზიო კომისიის ხელით, დაწვრილებით ირკვევდა და ეცნობოდა ბანკის ოპერაციის და მეურნეობის ავ-კარგიანობას: მან ციფრებითა და საბუთებით ხელში გადაჭრით და მხნედ უნდა აღიაროს, რომ ახლანდელ მდგომარეობაში ბანკის დარჩენა აღარ შეიძლება.

ბანკის გამგეობასაც არ ეძინა. იგიც საომრად ემზადებოდა, რადგან განსაცდელი მოახლოვებულია... თუმცა გამგეობა ველარა ჰფარავს, რომ ბანკი სამწუხარო მდგომარეობაშია, მაგრამ, რომ ბრალდება შეიმსუბუქოს, ასეთ მდგომარეობის მიზეზად მარტო თავის თავს არა სთვლის. მას უნდა ეგ ცოდვა ბანკის ადრინდელ ხელმძღვანელთაც გაუზიაროს, რომელთაგან არა ერთი და ორი დღეს ოპოზიციის ბანაკში ჩამდგარა და იქიდან გამგეობის ჯგუფს ყუმბარას ესვრის.

კრება 31 მაისს დაიწყო. ბრძოლის ველი თითქო მარტო ოპოზიციას დაუჭერია. გამგეობის მომხრე მხოლოდ აქა-იქა სჩანს, თუ ბანკის მოსამსახურეებს არ ვიანგარიშებთ, რომელთა მომავალიც გამგეობის ბედ-იღბალზეა დამოკიდებული: თუ გამგეობა დამარცხდა, მისმა ცოდვამ ბანკის მოხელეებიც უნდა შებღალოს და გაიყოლიოს, თუ გაიმარჯვა,—მისს კალთას უნდა შეეფარნენ... ოპოზიციამ თუ დასძლია, სკამებიც ახალი უნდა დასდგას ბანკში: ახლანდელი და ძველი იქ ველარავინ დარჩება.

ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარის თავ. ს. წერეთლის მაგიერ კრება თ. დ. ი. ნიჟარაძემ გახსნა. მან ვრცელის სიტყვით მიმართა კრებას, რომ ყოველ საკითხის შესახებ კრებაზე „სიმ-ტკბილობით“ და თავ-დაჭერილად ისაუბრონ, თორემ, შესაძლებელია, კრებას რაიმე საფრთხე შეჰხვდეს და ცუდმა ინციდენტმა იქნებ საერობო და სხვა მოსალოდნელი რეფორმებიც აგვაცილოსო.

ამის შემდეგ კრებამ გარდაცვალებულის, ტფ. თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფის თავ. დ. მელიქიშვილის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა.

ოპოზიცია თავ. ნიჟარაძის დაურიგებლათაც მშვიდობიანობის მომხრე იყო ყოველთვის და იმას შიშობდა მხოლოდ, ვაი თუ გამგეობის მომხრეებმა შარშანდელი „საფრთხობელა“ გაიმეორონო.

კრების თავმჯდომარედ თითქმის ერთხმად ქალაქის თავი თავ. დ. ა. ლორთქიფანიძე იქნა დასახელებული, მაგრამ გამგეობის ერთმა მომხრემ, რომელიც უთუოდ დ. ლორთქიფანიძეს ოპოზიციის მომხრეობასა სწამებდა, „საკენჭო„ ყუთი მოითხოვა, უფრო იმ აზრით რომ მოწინააღმდეგეთა ძალები გამორკვეულიყო. თუ ზემოხსენებულ ეჭვს ადგილი ჰქონდა, ცხადად დამტკიცდა, რომ ჯერ-ჯერობით ოპოზიციას დიდი ღონე აქვს: 72-დან დ. ლორთქიფანიძეს მხოლოდ 12 შეხვდა შავი კენჭი.

თავმჯდომარემ თავ. ლორთქიფანიძემ საკამათო საგნად წარსული საანგარიშო წლის ანგარიში გამოაცხადა. დაიწყო ანგარიშის განხილვა. როგორც ეტყობა, საკამათო საგნები ოპოზიციას განაწილებული აქვს. ქუთაისის საურთიერთო ბანკის მართველი თავ. ა. მ. და ამავე ბანკის დირექტორი ნ. ერისთავები ანგარიშის მუხლებსა, ფორმას და ტეხნიკურ შედგენილებას უშვრებიან კრიტიკას, ბ-ნი მოსეშვილი და ი. ფანცხავა ანგარიშის ზოგ ავ-კარგიანობაზე ესაუბრებიან კრებას; ა. საყვარელიძე, ევ. ქუთათელაძე, ბარნაშვილი, მაჭავარიანი და დავით კვირიკველია—აქა-იქ თუ ჩაერევიან ჯერ ჯერობით კამათში; თავის ძალ-ღონეს სარევიზიო კომისიის მოხსენების დროისათვის ინახვენ. და, მართალი უნდა ვთქვათ, მეხიც აქ უნდა გავარდეს: თუ დასახრობია, გამგეობას აქ წაუხდება ფონი და დასძირავს კიდეც.

თავ. ა. ერისთავმა დიდი და ვრცელი შენიშვნები მისცა გამგეობას და ბუხჰალტერს ანგარიშის შედგენა წარმოების შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ ბანკს არავითარი მოგება არა რჩება და გამგეობის მიერ ანგარიშში სარგებლად აღიარებული 71 ათასი მანეთი სრულიად ყალბი ციფრიაო.

გამგეობამ ი. ჯაიანის პირით და ბუხჰალტერმა ო. სვანიძემ ორივე ერისთავის შენიშვნები—ზოგი გააწბილეს და ზოგი საფუძვლიანად იცნეს.

გამგეობა უარს არა ჰყოფს, რომ ბანკს ნამდვილი მოგება არა აქვს, და, თუ მოგება მაინც გამოიყვანა, ეს იმ განზრახვით, რომ ქუთაისის სათ.-აზნაურთ გიმნაზიისა და იმის სენაკის განყოფილების არსებობა უზრუნველი გაეხადა. ერისთვების ტეხნიკური შენიშვნები დიდ საკამათო საგნად გადაიქცა, და ამიტომ კრებამ სპეციალისტების კომისია აირჩია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, რამდენად კანონიერი და სასარგებლო იქნება ბანკისთვის, რომ ანგარიშის შედგენა იმ შესწორებით განხორციელდეს, რაც თავ. ერისთვებმა სცნეს საჭიროდ.

კომისიას ორი დღის განმავლობაში უნდა წარედგინა კრებისათვის თავისი მოხსენება, მაგრამ შემდეგ კრებაზე 3 ივნისს, კომისიის წევრებმა, თითქმის, ერთხმად აღიარეს, რომ ხსენებულ შენიშვნების ვრცლად განხილვა ასე მოკლე დროში შეუძლებელიაო. ამის გამო ზოგიერთმა ახლავე ანგარიშის დამტკიცება მოითხოვა. მაგრამ ოპოზიციის უმეტესობა ანგარიშის დამტკიცების წინააღმდეგი გახდა იმ დრომდე, ვიდრე კომისია თავის მოხსენებას არ წარმოადგენდა.

საკითხი საკენჭოდ გახდა. 45 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 33 ხმისა, ანგარიშის დამტკიცება კომისიის მოხსენებისა და დასკვნის წარმოდგენამდე გადაიდო. როგორც სჩანს, ამ საკითხში ოპოზიციას ხმები საკმაოდ მოაკლდა.

ეს მესამე დღეა, რაც სხდომებია და ორჯელ კინაღამ გვარიანი სასკანდალო ინციდენტი არ მოხდა. ერთის ინციდენტის გამო სხდომა შესწყდა, მეორის დასაწყისში თავმჯდომარემ ხელად სხდომა შემდეგ საღამოსთვის გადასდო. თუ ასეთი ინციდენტები არ მოაკლეს, შესაძლებელია, კრება უჩვენოდაც დახურონ და ჩვენი უგუნურების საბუთი კიდევ მივცეთ ხელში ჩვენ მტერ-მოყვარეებს.

თავ. დ. ნიჟარაძემ კრების გახსნისათანავე გააფრთხილა დამსწრენი, რომ მშვიდობიანად იყავით და ნუ გაამწვავებთ საქმესაო, და თვითონ თავ. ნიჟარაძემ პირველმა დაარღვია მშვიდობიანება ბ-ნ კონსტ. ბაქრაძის შეურაცყოფით. საქმე ასე მოხდა: ბ-ნ ბაქრაძეს სიტყვა მისცა თავმჯდომარემ, ორატორს უნდა გაერჩია ბანკზე დარჩენილი მამულების სია და როცა მან აღნიშნა ის გარემოება, რომ ბანკზე დარჩენილ მამულებს გამგეობა გვიან იბარებს, რასაც დიდი ზარალი მოსდევს, და გადავიდა თავის მოსაზრების გამოთქმაზე იმის შესახებ, რამდენად მავნებელია ბანკისთვის სხვა და სხვა შეღავათის მიცემა, სხვათა შორის, სთქვა: „თუმცა ბანკში გარისავებულ მამულების უმრავლესობა სვინდისიერად არის შეფასებული“... ჯერ ბ-ნ ბაქრაძეს თავისი აზრი არ დაემთავრებინა რომ თავ. დავით მიქელაძემ შეაწყვეტინა ორატორს სიტყვა და მთელი ნოტაცია წაიკითხა იმის შესახებ, თუ რამდენად ფთხილად უნდა იყვნენ ორატორები, როცა ბანკის მოსამსახურე ხალხის კეთილ-სინდისიერობას ეხებიან; თუ საბუთი არა აქვს ბ-ნ ბაქრაძეს, მაშინ მისი საქციელი უშვერად მიმაჩნიაო. ჯერ არ გაეთავებინა თავ. მიქელაძეს სიტყვა, რომ თავმჯდომარის დაუკითხავად თავ. დ. ნიჟარაძემ განაცხადა ცხარედ შემდეგი: „აქამდის ვცდილობდი თავი შემეკავებინა და წესიერებისთვის ოდნავ მაინც ხელი არ შემეშალა, მაგრამ იქამდის მიმიყვანეს რომ მოთმინება დავკარგე და ის უნდა განვაცხადო, რასაც ვერიდებოდი. აქ ბ-ნი ბაქრაძე ჭკუას და ზნეობას გვასწავლის, როცა მას ჯერაც არ გაუწმენდია ანგარიში საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებასთან. თვით მისი ზნეობის სიწმინდე ეჭვს იწვევს და მე ჩემს თავს ნებას ვაძლევ განვაცხადო რომ იმის სიტყვებს არ მოვისმენ.

ეს სიტყვები, ცხარედ თქმული ბ-ნ ბაქრაძის შეურაცხმყოფელად, უპროტესტოდ დასტოვა, როგორც კრებამ ისე თავმჯდომარემ, რომელმაც მხოლოდ დახურა კრება. ბ-ნი კ. ბაქრაძე მესამე წელიწადია ბანკის რწმუნებულია, გარდა ამისა, იგი ქალაქის მცხოვრებთა მიერ არჩეული კაცია და ასე სასტიკად მისი შეურაცყოფა, შეუწყნარებელი საქმეა. თუ ასე მოეკიდნენ არჩეულ კაცებს, ვეჭვობ, თავის თავის პატივის მცემელმა კაცმა იკისროს ბანკის რწმუნებულის მოვალეობა.

გარეშე ამ ინციდენტისა, კრებამ კვლავ იქონია მსჯელობა ანგარიშის დამტკიცების შესახებ. ოპოზიცია იმ აზრისა იყო რომ ანგარიშის დამტკიცება შეუძლებელია იმ დრომდე, სანამ წინა დღიურ არჩეული კომისია არ წარმოადგენს თავის მოხსენებას. ხოლო გამგეობის მომხრენი, უთუოდ იმის იმედით რომ უმრავლესობა მათია, სცდილობდნენ საკითხი ანგარიშის დამტკიცების შესახებ გადასაწყვეტად დაეყენებინათ. ოპოზიცია დანებდა მათ სურვილს და ასეთი საკითხი დაისვა გადასაწყვეტად: დამტკიცდეს ანგარიში თუ გადაიდოს იგი იმ დრომდე, სანამ კომისია თავის მოსაზრებას წარმოადგენს. კენჭის ყრით, 52 ხმით წინააღმდეგ 33 ხმისა, ანგარიშის დამტკიცება გადაიდო ორის დღით. ამ დღისთვის ხსენებულმა კომისიამ თავისი მოხსენება უნდა წარადგინოს. ასეთმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია ჩვეულობრივი განგაში, ვითომ ოპოზიცია ბანკს ღუპავს ანგარიშის დაუმტკიცებლობით, რომ გირავნობის ფურცლების კურსი დაეცემა და სხვა, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ეს ჩვეულობრივი გოდებაა დამარცხებულისა და ამიტომ არც დიდ ყურადღებას აქცევენ.

## მოწერილი ამბები

**დუშეთი.** დუშეთში არსებობს ორკლასიანი სასწავლებელი. ამ სასწავლებელში განსაკუთრებით ქართველები და სომხები სწავლობენ, სომხები, რომელთაგან არც ერთმა სომხური არ იცის და ისე ხმარობენ ქართულ ენას, როგორც თავიანთ სამშობლოსას. ბავშვები დაიარებიან როგორც თვით ქალაქიდან, ისე მახლობელ სოფლებიდან. პირველ განყოფილებაში ისეთი ბავშვები არიან, რომელთაც მე ვგონებ თავის დღეში რუსული ლაპარაკიც კი არ გაუგონიათ. დადგება ენკენისთვე და დაიწყება მათი ტანჯვა. მშობლები, რომელნიც ნათლად ჰხედავენ თავიანთ მდგომარეობას უსწავლელობის გამო, ყოველ ღონესა ხმარობენ, რომ რაიმე საშუალებით შვილები სასწავლებელში მიაბარონ, ათას გაჭირებას იტანენ, წარმოიდგინეთ შიმშილსაც კი. მე თვითონ მოწამე ვარ, რომ ერთ ოჯახში ბევრი აღარა ჰქონდათ. სადღაც ეშოვნათ ორი მანეთი და მით ფქვილი უნდა ეყიდნათ, ზედაც მათი შვილი შემოვიდა ატირებული და სლუკუნით უთხრა: „მამი, სმატრიტელმა გამომაგდო: მინამ 3 მანეთს არ მოიტანო, სასწავლებელში აღარ შეგიშვებო“. 2 მანეთი ხელში ეჭირა ოჯახის პატრონს, ხან ბაღლს დასცქეროდა და ხან იმ ორ მანეთს, ბოლოს გაიწოდა ხელი და მიაწოდა შვილს და დაუმატა—ეს ორი მანეთი, შვილო, წაიღე, ერთ მანეთსაც მოგცემ: ძეხვსა ვჭრი და ჩვიდ მივიღებ 1 მ. 50 კ.-სათ. აი რა გულმოდგინედ ექცევიან სასწავლებელს. მაგრამ რა ნაყოფსა ჰხედავენ? დღემდის ერთი საშუალება მაინც ჰქონდა სასწავლებელს—პირველ განყოფილებაში ყოველთვის ქართველი იყო ხოლმე. ეს უფლებაც მოგვისპეს და დანიშნეს რუსი, რომელმაც ერთი სიტყვა ქართული არ იცის. აი უკვე ბავშვები დაითხოვეს საზაფხულოთ, მერე რა ასწავლა მათ? არასფერი. რვა თვე ტყუილად იარეს და მხოლოდ „ოდინ-დვა“ ისწავლეს. ნეტა რა პასუხი უნდა გასცენ იმ მშობლებს, რომელმაც თავისი უკანასკნელი ლუკმა ბევრი მისცა სასწავლებელს და იმის შვილს კი მხოლოდ ეს ორი სიტყვა „ოდინ-დვა“ ასწავლეს? ხმას არავინ იღებს. ნეტა ქალაქის თავი მაინც რატომ არა ზრუნავს ამ საქმისთვის! მისი პირდაპირი მოვალეობაა ეცადოს, რომ მეორე სამოსწავლო წლისთვის მაინც მასწავლებელი დანიშნონ და არა მაწვალებელი.

ადმინისტრატიულის წესით ბევრს ასახლებენ აქედან. ამ დღეებში აქედან იგზავნება 3 კაცი, ორი სოფ. მლაშელის — გუდარაშვილები, მესამეც სოფ. ებნისელი ისაკა ჯარიაშვილი. ვითომ ამათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამას წინად მოკლულ ესხად გასო ხუბაშვილის ბრბოში. ისაკა ჯარიაშვილი სოფლის გზირია. დღეს დამესთან ასწორებდა მუშაობაში და როგორ მოჰქვა უახლოეს საასში—არ ვიცი.. იგი წვრილშვილის პატრონია (ხუთი შვილი ჰყავს, სულ უფროსი 10 წლისაა). **დათიკო.**

## სტუდენტების წერილი

გთხოვთ ამ წერილს თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ.

ქართველ სტუდენტთა ხელმოკლეობაზე, უსახსრობაზე იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ ჩვენ აქ ამაზე ბაასი მეტად მიგვაჩნია, რადგან იგი ყველასათვის ცხადია. ხოლო ის კი არ შეგვიძლიან არ ავღნიშნოთ, რომ ადამიანისთვის ყველაზე უფრო ადვილი და მასთან თურმე სასარგებლოც ყოფილა თავის პირდაპირ ზნეობრივ მოვალეობის დავიწყება. მოვალეობა ზნეობრივი, მოვალეობა სინიდისის წინაშე ყოველ პატიოსან ადამიანისათვის სავალდებულო და პატივსაცემია, მაგრამ, სავალალოდ, ეს ხშირად გვავიწყდება ხოლმე. მიუტევებელია ასეთი გულმავიწყობა მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამისაგან ზიანი ეძლევა სხვას. არ ვიცით, რას მივაწეროთ—გულმავიწყობას, თუ... უმადურობას ის, რომ იმ პირთ, რომელთაც უნივერსიტეტი პეტერბურგში გაუთავებიათ და იქაურ სათვისტომოს დახმარებით უსარგებლნიათ, ერთხელაც არ მოჰგონებიათ, ნაწილ-ნაწილად მაინც, დაებრუნებინათ წრის ღარიბ კასისათვის თავისი ვალი. წრეულს დაიგზავნა წერილები ზოგიერთ მოვალეებთან, მაგრამ პასუხიც კი არ გვაღირსეს და ზოგი კიდევ ისეთის სოფიზმებით გაგვიმასპინძლდა, რომ მათი უსუსურობით და უადგილობით სირცხვილის ალმური მოეკიდებოდათ მათ ავტორებს ახლა, რომ ისინი წაიკითხონ. მოკამათესთან, გონებისა და ენის სავარჯიშოდ ჰახრაკული სოფიზმები შეიძლება ადამიანმა სოფიზმებითვე გაამართლოს, მაგრამ თავის სინიდისთან ასეთი სოფიზმები მეტად სათაკილო და სამარცხვინოა.

ჩვენ გადავწყვიტეთ, ერთხელ კიდევ მოვაგონოთ და დაბეჯითებით ვთხოვოთ პეტერბურგელ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მოვალეებს: ივნისის დამლევამდის ფული გამოჰგზავნონ გაზ. „დროების“ რედაქციაში (რამდენიც შეეძლებათ), ან და თავისი აზრი, ამის შესახებ, წერილობით შეგვატყობინონ.

ამასთან ვაუწყებთ ყველას, რომ ივნისის გასულს იძულებულნი ვიქნებით მივმართოდ შემდეგ საშუალებებს: 1. გაზეთებში გამოცხადებული იქნება ყველა მოვალის სახელი და გვარი; 2. ყველა, ვინც ამ ვადამდე პასუხს არ გაგვცემს, გამოწვეული იქნება სამედიატორო სამართალში; 3. ზოგიერთებისაგან კი იძულებულნი ვიქნებით ვალები კანონის ძალით ვეძიოთ.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს უკანასკნელს თხოვნას და თავიანთ წმინდა მოვალეობას ყველა მოვალენი ანგარიშს გაუწევენ.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მინდობილობით **სტუდ. ს. პ. დადიანი.**

P. S. ვთხოვთ ყველა გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ. **ს. დ.**

## ოსმალეთი

**საუბარი სამხედრო მინისტრთან.**

რუს. გაზ. „ბირჟევია ვედომოსტი“-ს სტამბულელ კორესპონდენტს უსაუბრნია ოსმალეთის ეხლანდელ სამხედრო მინისტრთან სალიხ-ფაშასთან. კორესპონდენტი სწერს: „ეხლანდელ სამხედრო მინისტრს სალიხ-ფაშას არაკეთილ საიმედო კაცად სთვლიდა და ხშირად სდევნიდა აბდულ-ჰამიდი; ამიტომ მას წრფელის გულით სძაგს აბდულ-ჰამიდის ძველი წესები. ახალგაზრდა ოსმალთა ყველა მეთაურს მტკიცედა სწამს სალიხ-ფაშის ერთგულება კონსტიტუციისა და ახალ რეფორმებისადმი.

მე უმთავრესად მაინტერესებოდა ქრისტიანების მიღება ოსმალეთის ჯარში, ამიტომ ჩვენი საუბარიც ამ საგნის გარშემო ტრიალებდა.

სალიხ-ფაშამ მითხრა:

— დღემდე ჩვენში ქრისტიანებს გარდა ზოგიერთი მუსულმანი ერიც ფაქტიურად თავისუფალი იყო სამხედრო ბეგარისგან, მაგალითად, ალბანელები, რომლებიც ბუნებით მეომრები არიან, მხოლოდ პირობით მსახურებდნენ აბდულ-ჰამიდის პირად მცველთა რაზმში, რაშიაც დიდ ჯამაგირსაც იღებდნენ. ალბანელთა ტომები თავს არიდებდნენ მუდმივ ჯარში სამსახურს და მთავრობაც ხმას არა სცემდა და არა სჯიდა მათ ამის გულისთვის. ამიტომ ეხლა ქრისტიანებისა და ურიების ჯარში მიღების გარდა, ჩვენ ის მუსულმანებიც უნდა გავიწვიოთ ჯარში, რომლებიც დღემდე თავისუფალნი იყვნენ.

— იმედი გაქვთ, რომ მალე განახორციელებთ მაგ რეფორმას?

— არა მგონია, რომ ეს რეფორმა წელსვე განვახორციელოთ. ამიტომ მთავრობამ უკვე ბძანება გასცა, რომ წელს არა მუსულმანთ წინანდებურად გადაასახდევინონ სამხედრო გადასახადი.

— თქვენ თითონ მომხრე ხართ საყოველთაო სამხედრო ბეგრისა?

— გულწრფელი და გაბედული მომხრე ვარ. ოტომანის [illegible] დოს იდეას უჭედავ ... ამ რეფორმით ... გონებაში.

— მაშ სამხედრო სამინისტრომ რად შეიტანა კანონ-პროექტში მუხლი, რომ ქრისტიანები მთელის ჯარის მეოთხედზე მეტს არ უნდა შეადგენდნენო.

— იმიტომ, რომ ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანები მხოლოდ მცხოვრებთა მეოთხედს შეადგენენ. ის ცნობა, ვითომ ქრისტიანები ამ რიცხვზე გაცილებით მეტნი არიანო,—ნამდვილი ოცნებაა. ესაა პირველი მიზეზი. მეორე მიზეზი კიდევ ისაა, რომ ფინანსიურ და დროებით პოლიტიკურ მოსაზრებით, სარწმუნოების დაკვალად ჯარის კაცთა გაყვანა საშიშად ჩავთვალეთ ზოგიერთ ადგილას. ამ შიშის ასაცილებლად დაგვჭირდებოდა ახალ ჯარის კაცთა აზიიდან ევროპაში გადაყვანა, ხოლო ევროპიდან აზიაში, რაც მეტად დიდ ხარჯს მოითხოვდა.

— სამხედრო სამინისტრომ ალბად წინ და წინვე შეკრიბა ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ შეხედავს ჯარი ამ ახალ რეფორმას?

— ოფიცრები თითონაც თხოულობენ ქრისტიანების მიღებას ჯარში. მე მოგახსენებთ, რასაკვირველია, სამსახურში მყოფ ოფიცრებზე და არა იმ ოფიცრებზე, რომლებიც სამსახურიდან დაითხოვეს ძველის რეჟიმის მომხრეობისთვის. რაც შეეხება ჯარის კაცებს, ევროპიელ ლაშქრებში უყოყმანოდ ისინიც მოამზადა ქრისტიანებთან ერთად სამსახურისათვის. ამას გარდა, ჩვენში ჯარის კაცი ჯერ კიდევ ძლიერ ემორჩილება დისციპლინას, თუ აპიტანიათ არ აუცრუეს გული. დასასრულ, ამას წინად რომ ნიაზი-ბეიმ სტამბოლში თავისუფალ მეომართა რაზმი მოიყვანა კონტრ-რევოლიუციის დასათრგუნად,—ესეც მეტად გამამხნევებელი და საგულისხმო მაგალითი იყო,

— მართალია, რომ ბერძნის პატრიარქი მხოლოდ ისეთ პირობითა სცნობს ამ რეფორმას, რომელსაც არც მთავრობა მიიღებს და არც პარლამენტი?

— ბერძნის პატრიაქს სურს, რომ ჩვენ სკოლებში, თვით უნივერსიტეტშიაც კი, სასამართლოებსა და ადმინისტრატიულ დაწესებულებაში ავსტრია-უნგრეთის მაგალითს მივბაძოთ, ხოლო ჯარში ის წესები დავაწესოთ, რომელსაც მოითხოვენ უნგრეთის რადიკალები. ჩვენ კი სწორედ ავსტრია-უნგრეთის მაგალითმა დაგვანახვა ცხადად, რომ იქაური წესები მისაბაძი არა ყოფილა: იქაური მთავრობა დიდის წვალებითა და ვაი-ვაგლახით იცავს ჯარის ერთიანობასა და მთლიანობას. სამხედრო რეფორმას ჩვენ ძლიერ ფრთხილად განვახორციელებთ, ანგარიშს გავუწევთ ხალხის ყოველ-ნაირ ინტერესს, სულიერს თუ ქონებრივს, მაგრამ იმას კი ვეცდებით, რომ ოტომანთა იმპერიის ჯარი ძლიერი და ერთიანი იყოს“.

**რეაქციონერების დატუსაღება არზრუმში.**

არზრუმიდან ატყობინებენ სომხურ გაზ. „გორც“-ს: 26 მაისს ერზინგანიდან მოვიდა გენერალი 7 ბატალიონით და ზარბაზნებით. იგი დადგა ქალაქის გადაღმა გარედ და ამნაირად დაატუსაღა ყველა მეამბოხე ჯარისკაცი: აჯანყებული ბატალიონი თითო-თითოდ დაიბარა, იარაღი ჩამოართვა და მათი მეთაურები დატუსაღა. ამის შემდეგ გენერალი შემოვიდა ქალაქში.

რეაქციონერები ძალზე შეშინდნენ და ეხლა ყოველნაირად ცდილობენ გენერალს გულწრფელ კონსტიტუციონალისტებად მოაჩვენონ თავი. იქნება არზრუმშიაც დააწესონ სამხედრო სასამართლო. 100 კაცზე მეტია დატუსაღებული. ბევრი რეაქციონერი გაიქცაქცა“.

**რეფორმები ოსმალეთის ჯარში.**

ოსმალეთის ჯარის ინსტრუქტორმა გენერალმა ფონ-დერ-გოლცმა პროექტი შეადგინა, რომ ოსმალეთმა არზრუმის სამხედრო ოლქში რუსეთის საზღვარს ახლო მუდამ იყოლიოს 200-ათასი ჯარის-კაცი 500 ზარბაზნით.

ფონ-დერ-გოლცს გარდა, ბევრი სხვა გერმანელი ოფიცერი დაინიშნა ინსტრუქტორად ოსმალეთის ჯარში.

რამდენიმე ოსმალელი ოფიცერი გერ-

მანიაში გაგზავნეს იქაური ახალ სამხედრო წესების შესასწავლად.

**თავისუფლებისთვის თავდადებულთა მახვერპლი.**

სტამბოლში გაიმართა ერთგვარი ხულის მოწერა იმ ძეგლის ასაგებად, რომელიც უნდა დაუდგან თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპულთ. სულთანმა მაჰმად მეხუთემ პირველმა მოაწერა ხელი და 500 გირვანქა შესწირა ამ საქმისთვის.

**აბდულ-ჰამიდის პენსია.**

აბდულ-ჰამიდს დაუნიშნეს პენსიად წლიწადში 70,000 გირვანქა, მის გარომად დანიშნეს ახალგაზდა ოსმალელი აფიცერი ეხტი-ბეი, რომელმაც თვალ-ყური უნდაადევნოს, რომ სულთანმა მეტი არ დახარჯოს, და ფული არავინ მისცეს ხელში ტახტიდან ჩამოგდებულ სულთანს.

# კრიტოსის საქმე

**კრიტოსელების მუქარა.**

კრიტოსის მცხოვრებნი იმუქრებიან, თუ სახელმწიფოები ჯარს არ გაიყვანენ კუნძულიდან, ავჯანყდებითო.

**საუბარი ოსმალეთის მინისტრთან.**

კრიტოსის საქმის თაობაზე ოსმალეთის ვაჭრობის მინისტრს ნორადუნგიანს უთქვამს „ბერლ. ტაგებლატ“-ის კორესპონდენტისთვის: კრიტოსი ოსმალეთის ხელში უნდა დარჩეს, ხოლო მისი ავტონომია უზრუნველყოფილ იქნება. ოსმალეთი არა დროს არ დასთანხმდება ამ კუნძულის შეერთებას საბერძნეთთან. დარწმუნებულნიცა ვართ, საბერძნეთი იმდენ გონივრობას გამოიჩენს, რომ ომამდე არ მიიყვანს საქმეს, რადგან კრიტოსის გულისთვის მან უკვე ერთხელ განიცადა დამარცხება.

ასეთივე აზრი გამოუთქვამს ვენაში მყოფს დიდ ვეზირად ნამყოფს ტევფიკ-ფაშას.

**დიპლომატების აზრი.**

პეტერბურგში დიპლომატთა წრეებში გავრცელდა ხმა, ვითომ ოსმალეთის მთავრობა დასთანხმდება კრიტოსის შეერთებას საბერძნეთთან, მხოლოდ იმ პირობით, რომ უცხოელების ეხლანდელი პრივილეგები ოსმალეთში გაუქმდეს და ოსმალეთი ოფიციალურად იცნონ დიდ სახელმწიფოდაო,

რუსეთის გარეშე სამინისტროში ჰფიქრობენ, რომ ოსმალეთი ბოლოს და ბოლოს უამპირობოდაც დასთანხმდება კრიტოსის ანექსია, მხოლოდ ფულს კი მოითხოვსო, რადგან სახელმწიფოები ამ ჟამად არ დასთანხმდებიან უცხოელთა პრივილეგიების გაუქმებასო.

# რუსეთი

**✦ შეკითხვა ლიახოვის შესახებ.** 1908 წელს, 15 ნოემბერს, სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ სათათბიროში შეიტანა შეკითხვა ლიახოვის სპარსეთში მოქმედების შესახებ. ეს შეკითხვა სათათბიროს აქამდის არ განუხილავს. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ხომიაკოვისთვის უთხოვნია, დააჩქარეთ ამ შეკითხვის განხილვაო.

**✦ სასულიერო აკადემიებში.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება სინოდმა გადასწყვიტა სასულიერო აკადემიების რეფორმა. ამ რეფორმით ძალიან უკმაყოფილონი არიან აკადემიების პროფესორები. „რუსკ. ვედ.“ სიტყვით პროფესორების ერთ ჯგუფს გადაუწყვეტია იშუამდგომლოს, რომ აკადემიები გაუქმდეს და მათ მაგივრად უნივერსიტეტებთან დაარსდეს სადვთისმეტყველო ფაკულტეტი.

**✦ ოლგა შტეინის განცხადება.** პეტერბურგში ხმა გავრცელდა, რომ ოლგა შტეინმა პეტერბურგის ოლქის სასამართლოს პროკურორს განცხადება გაუგზავნია. განცხადებაში ნათქვამია, რომ პერგამენტს, არონსონს და პაზუხოვს ცილი დავწამეო. როგორც ვიცით განსვენებული პერგამენტი, არონსონი და პაზუხოვი სამართალში მისცეს, ოლგა შტეინი საზღვარ-გარედ გაიპარეთ. როგორც ხჩანს ყველაფერი ეს ტყუილი ყოფილა და ტყუილ-უბრალოდ, უდროოდ მოჰკლეს პერგამენტი, რომელზედაც ისე იმოქმედა ამ ცილის-წამებამ, რომ გულის სიგანიერე მოუვიდა და გარდაიცვალა.

**✦ ხომიაკოვი.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი, სათათბიროს თავმჯდომარეობას თავს ანებებს.

**✦ თვითმკვლელობა.** პეტერბურგში თავი მოუკლავს ადგილობრივ უნივერსიტეტის სტუდენტ ვარნაკინს. მიზეზი—მიმილია.

**✦ რევიზია.** ამ რამდენიმე ხნის წინად ბალტიის წყალქვეშ მავალ ნავების სარევიზიოდ მთელი კომისია გაიგზავნა კომისიამ ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა. ამბობენ, რომ ზოგიერთებს სამართალში მისცემენო.

**✦ იურკევიჩ-კრასკოვსკი.** როგორც ვიცით იურკევიჩ-კრასკოვსკი («ჭეშმარიტ რუსთა კავშირის» წევრი) რომელსაც გერცენშტეინის მკვლელობის მოწყობა ბრალდებოდა, იმალება. გერცენშტეინის ქვრივის ვექილს ვებერს გაუგია, რომ იურკევიჩ-კრასკოვსკი ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში იმალება. ვებერს პეტერბურგის ოლქის სასამართლოს პროკურორისთვის მიუმართავს, იურკევიჩ-კრასკოვსკი ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში და დააჭერინეთო.

**✦ სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა კადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 2, ხარკოვში 1, პეტერბურგში 3, უფაში 1, რიგაში 1, ეკატერინოსლავში 1, ოდესაში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: უფაში 1, ხარკოვში 2, ორიოლში 1, ეკატერინოსლავში 4, ოდესაში 1, კამენეც-პოდოლსკში 1 კაცი.

— გაზეთების ცნობით გასულ თვეს, მაისში, სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 145 კაცისთვის, აქედან დაუსჯიათ 32 კაცი.

**✦ სოციალისტ-რევოლიუციონერების ორგანიზაცია.** ამ 2½ წლის წინედ ტაშკენტში დააპატიმრეს სოციალისტ-რევოლიუციონერების ორგანიზაცია. სულ დააპატიმრეს 100 კაცამდის, აქედან 70 სატუსაღოში ჩასვეს, დანარჩენები თავდებით გაანთავისუფლეს. აი თითქმის 3 წელიწადი სრულდება და ამათი საქმე არ გარჩეულა, არც თუ საბრალმდებლო ოქმი ჩაუბარებიათ ბრალდებულებისთვის. „რუსკ. ვედომ.“ სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს შრომის ჯგუფს გადაუწყვეტია ამის შესახებ იუსტიციის მინისტრის სახელზე შეკითხვა შეიტანოს.

**✦ 1098 წელს გამოცემულ წიგნების და გაზეთების სტატისტიკა.** 1909 წელს, რუსეთში გამოცემულა 23,852 ხვა და სხვა სახელწოდების წიგნი. აქედან რუსულ ენაზე—18,286 პოლონურზე—2,063, დანარჩენი წიგნები 42 ენაზე გამოსულა ესპერანტოზე გამოსულა 5 წიგნი. მინაარსით წიგნები განიყოფებიან.

| | |
|---|---|
| ანგარიშები და სხვა | 4,410 |
| სახელმძღვანელოები | 1,105 |
| სახალხო | 1,051 |
| ბელეტრისტიული | 875 |
| სარწმუნოების შესახებ | 836 |
| ბოლიციის აგენტების თავგადასავალი | 624 |
| საბავშვო | 573 |
| ბიბლიოგრაფია | 532 |
| საზღვაო და სამხედრო საქმეების შესახებ | 501 |
| მიმ ლინარე ცხოვრებიდან | 461 |
| ბუნების-მეტყველებიდან | 424 |
| სოფლის მეურნეობა | 397 |
| ისტორია | 344 |
| დრამა და სხვა | 342. |

ჟურნალ-გაზეთი გამოსულა 2,028. აქედან:

| | |
|---|---|
| საპოლიტიკო-სალიტერატურო | 862 |
| სპეციალური | 454 |
| სამეცნიერო | 173 |
| სარწმუნოებრივ ზნეობრივი | 161 |
| სალიტერატურო-სამხატვრო | 158 |
| სამხატვრო-გასართობი | 73 |
| სახალხო და სხვა | 41. |

გაზეთები არსებობენ: 3—1 32 წელიწადი, 3—150, 25—100, 76—75, 82—51, 231—3, 350—2, 684—1 წელიწადი.

ქართულ გამოცემებს მთელს რუსეთში მეოთხე ადგილი უჭირავს.

**✦ სარატოვის უნივერსიტეტი.** სახელმწიფო სათათბიროს კომისიას მიუღია კანონპროექტი, რომლითაც სარატოვში უნივერსიტეტი უნდა გაიხსნას. ჯერ-ჯერობით გაიხსნება საექიმო ფაკულტეტი.

# უცხოეთი

**რუს ხელმწიფისა და გერმანიის იმპერატორის შეხვედრა.**

რუსთა-ხელმწიფე და გერმანიის იმპერატორი უკვე შეხვდნენ ერთმანეთს ბალტიის ზღვაში. როგორც უკვე ვიცით, ბევრნი დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ ამ შეხვედრას. ამბობენ, ამ შეხვედრის დროს ბევრი დიდი საქმე გადასწყდება, სხვათა შორის სპარსეთის ბედიცაო.

**რუს-ხელმწიფისა და ინგლისის მეფის შეხვედრის გამო.**

ამბობენ, რომ მალე რუსთ ხელმწიფე ინგლისში წავა მეფე-ედუარდის სანახავადაო.

ამის თაობაზე ინგლისის დეპუტატთა პალატაში უკვე შეეკითხნენ მთავრობას: რისთვის მოდის რუს-ხელმწიფე ჩვენშიო. გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ უპასუხა: რუს ხელმწიფის მოსვლა უბრალო მეგობრული ვიზიტია ჩვენს მეფესთანაო.

ამას გარდა დეპუტატი კოხი შეეკითხა პირველ მინისტრ ასკვიტს, როდის გაიმართება პალატაში კამათი რუს-ხელმწიფის მოსვლის თაობაზეო. სასურველია, რომ ეს კამათი რუსეთის იმპერატორის მოსვლის წინად დაინიშნოსო.

ასკვიტმა უპასუხა, შეხვედრის დღე უკვე დანიშნულია და გარეშე საქმეთა სამინისტრო ამის თაობაზე თავის დროზე მოხსენებას წარუდგენს პალატასაო.

ინგლისის მუშათა საზოგადოებებმა და სოციალისტურმა პარტიამ მანიფესტაცია გამართეს და პროტესტი განაცხადეს რუს-ხელმწიფის ინგლისში მისვლის წინააღმდეგ.

# წერილი რედ. მიმართ

კვირას, 31 მაისს, ნაშუადღევის ორ საათზე, ზუბალაშვილების სახალხო თეატრში წარმოადგინეს ირეთელის პიესა: „დამარცხებულნი“. რადგან გაზ. „ხვ. აზრ.“-ში განცხადება წარმოდგენის შესახებ იმნაირად იყო დაწერილი, რომ მკითხველს შეეძლო წარმოდგენა ქართულ სექციის მიერ გამართულად ჩაეთვალა, ამიტომ ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ კვირის წარმოდგენასთან სექციას არაფერი საერთო არა ჰქონია-რა.

გარდა ამისა საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ქართული სექცია აწეულ ფასებში წარმოდგენებს არ მართავს. ჩვენი ფასები მხოლოდ **ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

**ქართული სექცია.**

—

24 მაისს „განათლების“ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ სეირნობიდან შემოვიდა; შესასვლელი ბილეთები—475 მან. 89 კ., ლატარიაალეგრი—360 მ., სხვა და სხვა გასართობი—210 მ. 83 კ., ბუფეტი—62 მან. შემოსწირეს: კნ. ელ. კ. ბარათაშვილმა—10 მ., ელ. გომართელისამ—10 მან., პ. კ. ქურდიანისამ—5 მ., ს. ბახჩალოვისამ—20 მ., ი. მაჭავარიანმა—3 მ., ბ. გორგიჯანიძემა 50 მ. მთელი შემოსავალი—1191 მ. 62 კაპ.

ხარჯი: ბაღის ქირა—210 მ., ნივთების ყიდვა—20 მან. 40 კ., გაზეთებში განცხადება, აფიშების დაბეჭვდა და გაკვრა—30 მ. 25 კ., სამხედრო მუსიკა და დუდუკი—43 მან., ჭურჭელი და სკამები—15 მ., ბუფეტი—26 მან. 95 კ., წვრილმანი ხარჯი—24 მან. 15 კ. პოლიციელებს, მოსამსახურეებს და ყარაულს—15 მ., განათება—6 მ. სულ დაიხარჯა—390 მ. 75 კ. წმინდა დარჩა—800 მ. 97 კ.

„განათლების“ საზოგადოების გამგეობის სახელით გულითად მადლობას ვწირავ ნივთების შემომწირველთ ბ-ნთ სევანოვს, დ. დოლაძეს, „ზაკავკაზიისა“ და „ტიფ. ლისტ.“-ს რედაქციებს, „შრომის“ სტამბას“ განცხადების ფასების დაკლებისთვის, „დროების“ და „ჩვენი გზის“ რედაქციებს განცხადების მუქთად დაბეჭდისთვის, აგრეთვე ფულის შემომწირველთ და ყველას, ვინც ასე თუ ისე ხელი შეუწყო ამ კეთილ საქმეს. სეირნობის **გამმართველი ანნა პავლიაშვილი**


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—102)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი ვ. დავითაშვილი ... N 8 ... საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N. 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)


# მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საქალაქო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საქალაქო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საქალაქო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საქალაქო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).


ექიმი **ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 19—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—69)

◀ძალიან იაფად▶
იყიდება საბურთალოზე, ახალ ეკლესიის გვერდით მიწა გაშენებულ ბაღით და ხეხილით. შემოვლებული ეკლით 111 ოთხკუთხი საჟენი იყიდება 450 მანეთად. მალე ხიდიც გაკეთდება დიდუბიდან.
იკითხეთ იქვე ეკლესიის გალავანში **ი. მუსხელიშვილი.** (5—286—3)

ბაღი-რესტორანი
◀ ამხანაგობის ▶
„იშუანე“-სი
სახაზლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**
სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ-სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები“ და „პრეისკურანტები“. ფასები ზომიერია. (50—გაკ.—1)

გაფრთხილება
დ. ზ. სარაჯიშვილისა
კ ა ნ ტ ო რ ა ტ ფ ი ლ ი ს შ ი:
ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ ბ-ნნი მომხმარებელნი.
ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**
ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი“,** და საქარხნო მარკას **„ჯიხვი კლდეზე“.** (20—234—12)

◀ ა ლ მ ე ზ ა ▶
**ჯერ არ ყოფილა ამ გვარი უტყუარი კბილის მომრჩენი წამალი.**
**ალმეზა**—სულ ორ წუთში აცხრობს კბილის ტკივილს.
**ალმეზა**—ჰკარგავს სამუდამოთ ღრძილების ტკივილს და სისხლის დენას.
**ალმეზა**—ზრდის საკვირვლათ ღრძილებს და ამაგრებს კბილებს.
**ალმეზას**—კეთების შემდეგ დანარჩენი კბილები არ აგტკივდებათ.
**ალმეზა**—ჰკარგავს სამუდამოდ პირის სიმყრალეს.
**ალმეზა**—არის აუცილებლად საჭირო ყოველს ოჯახში.
**ალმეზა**—არის საჭირო მოგზაურობის დროს.
**ალმეზა**—უტყუარი საშუალებაა.
**ალმეზა**—ღებულობს აუარებელ სამადლობელ წერილებს.
**ალმეზა**—დაჯილდოებულია გამოფენებზე.
**ალმეზით**—ვარჩენთ ავადმყოფებს კანტორაში უფასოდ. დასარწმუნებლად, რომ უტყუარი საშუალებაა.
**ალმეზა**—მოიკითხეთ აფთიაქებში და აფთიაქის მაღაზიებში.
**ალმეზა**—არ აურიოთ კბილის სხვა წამლებში. მალე დარწმუნდებით, რომ ამ გვარი უტყუარი წამალი არ იპოვება.
**ალმეზას**—გამოწერა შეიძლება მთავარ საწყობიდან: ტფილისი, პუშკინის ქ.. N 15.
წარმომადგენელი მთელ კავკასიისათვის და ამიერ-კასპიის მხარისათვის **ი. გ. ახობაძე.** (1—261—1)

1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ 1 მანეთიდან
● ხელის მაშინები 25 მანეთიდან ●
**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**
ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (15—გაკ.—14)

პროვოდნიკის
1897 წ. 1888
1908 წ.
ამხანაგობა
რიგაში
საიმპერიო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● იყიდება ნარდად და ცალობით: ●
ლინოლეუმი, აურებელი ერთფერიანი უზორებიანი,
ასბესტის კარტონი,
ასბესტის და ტალკის ხაზიანი
ახალი რამ:
„საუკუნო“ ლინოლეუმი უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც გადის და რომელიც თითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.
ლინკრუსტა (საუკუნო შპალერი) ნაირნაირი უზორებით, სიცხოვლე თვალისთვის დასაყვავებელი ... 
ცალობით ვაჭრობა დიდა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა


სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. ალაძე.